

Ketevan Samadashvili

ქეთევან სამადაშვილი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Thematic and Versification Trends of the Georgian Lyric Poem of the Second Half of the 20th Century

XX საუკუნის II ნახევრის ქართული ლირიკული ლექსის თემატური და ვერსიფიკაციული ტენდენციები

The main question of hermeneutics is: how is the world that we want to understand arranged. Georgian lyrics discuss all topics that people think about.

In this regard, the poetry of the 2nd half of the 20th century is particularly important, their work in the modern era deserves special attention.

The subject of our discussion is the theme and versification trends of the Georgian lyric poem of the second half of the last century, taking into account the following aspects: intercultural isolation and destruction, individual way of describing reality, difficulties of establishing innovations.

Keywords: Georgian lyric, lyric poem, poetic generations

საკვანძო სიტყვები: ქართული ლირიკა, ლირიკული პოემა, პოეტური თაობები

ანტიკური ხანიდან პოეზია ხელოვნების უმაღლეს, სინთეზურ დარგად მოიაზრება, ლირიკა კი – პოეზიის პოეზიად. ლირიკული სინამდვილე არა მხოლოდ კონკრეტულის, აბსტრაქტულის წვდომის საშუალებასაც გვაძლევს, შთაგონების მიღმა დგას – გაცილებით ტევადი და მნიშვნელოვანია. ლირიკული ლექსის ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო თავისებურება ისაა, რომ იგი ჯერ კიდევ შექმნის პროცესში მკითხველის თანაარსებობასა და ჩართულობას გულისხმობს. მ. მაჭავარიანი აღნიშნავს: „*ლექსი იმდენნაირია, რამდენმა კაცმაც წაიკითხა*“ (მაჭავარიანი, 2013, გვ. 156).

ლირიკული ლექსის ცენტრში ავტორია. იგი ასახიერებს და ობიექტურ სახეს აძლევს არა უშუალოდ მოვლენას, არამედ – თავის დამოკიდებულებას ამ მოვლენასთან. ასე იქმნება ობიექტური ფაქტით შთაგონებული სუბიექტური პოეტური ხედვა, მხატვრული ასოციაცია, განწყობილება გადაეცემა მკითხველს და ზემოქმედებს მასზე.

საქართველოში ლირიკის განვითარების კლასიკურ პერიოდში (XVII-XVIII სს) ძირითადად დომინირებდა ეპიგრამა, დითირამბი, ეპითალამა, მიძღვნა. უკვე XIX საუკუნიდან ლირიკული ჟანრების დეტალურმა გამოვლენამ მნიშვნელობა დაკარგა, მაგრამ თავისებურად მაინც ფუნქციონირებდა. ფოლკლორული ნიმუშები ცხადყოფს, რომ ქართული ლირიკული პოეზია ხალხურ-მითოსურ ნიადაგზეა აღმოცენებული, მისი წანამძღვრები „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგშიც დაიძებნება.

საგულისხმოა, რომ ევროპიდან შემოსულ რომანტიზმს საქართველოში მკვეთრად ეროვნული სულისკვეთება ასაზრდოებდა. მან ქართულ ლიტერატურაში ახალი შემოქმედებითი პრინცი-

პეზი და ჟანრები დაამკვიდრა – მაგალითად, საკუთრივ ლირიკისა და ელეგიის პატრიოტული, ფილოსოფიური და სატრფიალო სახეობები.

XIX საუკუნის 60-იანელთა („თერგდალეულთა“) სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას წინ უმნიშვნელოვანესი მოვლენა უძღოდა – ივანე კერესელიძის მიერ 1857 წელს ჟურნალ „ცისკრის“ განახლება. სწორედ ამ ჟურნალმა შემოიკრიბა სხვადასხვა თაობისა და მსოფლმხედველობის ქართველი მწერლები: გ. ორბელიანი, ა. ორბელიანი, გ. რჩეულიშვილი, ბ. ჯორჯაძე, მ. თუმანიშვილი და სხვანი, რათა მხატვრული ლიტერატურა ეროვნული თვითშეგნების გაღრმავების წყაროდ ექციათ.

სიმბოლურია, რომ სწორედ ასი წლის შემდეგ, უკვე 1957 წელს, მწერალ ვახტანგ ჭელიძის რედაქტორობით განახლდა ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემა. იგი წარმატებით ამოუდგა გვერდში ჟურნალ „მნათობს“, რომელსაც ს. ჩიქოვანი რედაქტორობდა. ლიტერატორთა წრეებში ბევრმა (ალ. კალანდაძე, რ. მიშველაძე, კ. იმედაშვილი) სწორედ „ცისკრის“ დაარსების თარიღი მიიჩნია ახალი ლიტერატურული ხანის (60-იანი, ზოგი მოსაზრებით, 50-იანი წლების) დასაწყისად. მაგალითად, მკვლევარი ა. ნიკოლეიშვილი მიიჩნევს, რომ მოცემული პერიოდის, პირობითად 60-იანი წლების, ქრონოლოგიური ჩარჩოები ბევრად სცდება კალენდარული ათწლეულის ფარგლებს და მასში უნდა მოვიაროთ 1956-1975 წლები.

ქართული ლირიკული ლექსის შემოქმედნი წარმატებით აგრძელებენ წინაპართა გზას, განცდების განზოგადებული წარმოსახვის საშუალებით ეხმიანებიან ზოგადსაკაცობრიო იდეალებსა და თანამედროვეობას. ამასთან, მათთვის უცხო არც ვერსიფიკაციული სიახლეებია და არც სიტამამე – მკაცრი ცენზურის პირობებში უერთგულონ ჭეშმარიტ ღირებულებებს. „XX საუკუნის [...] ეროვნული პოეტური აზროვნების შინაგანი განახლების პროცესი, უპირველეს ყოვლისა, იმ თაობის მწერალთა სახელებს უკავშირდება, რომელნიც 40-იანი წლების მეორე ნახევარსა და 50-60-იანი წლებში გამოდიან სამოღვაწეო ასპარეზზე“ (ნიკოლეიშვილი, გვ. 402)

XX საუკუნის II ნახევრის ქართული ლირიკის ზოგადი ენობრივი ტენდენციის გაანალიზებამ ცხადყო, რომ პოეტები თამამად მიუბრუნდნენ არქაულ სინტაქსურ კონსტრუქციებს. მ. მაჭავარიანისა და მ. ლებანიძის ლირიკაში ენის მიზნობრივი დამკვლეობა ძირითად შემთხვევებში პათეტური განწყობის შექმნას ემსახურება. მაგალითად, ლექსში „დუმილი რეკავს“, მ. მაჭავარიანი ძველქართული ენობრივი ნორმების გაცოცხლებას ცდილობს: „ორი ცრემლიდან საქართველოს გაჰყურებს საბა; ვერ დაუნახავს დღეს უცრემლოდ ქართველსა ქართლი“ (მაჭავარიანი, 2006, გვ. 74).

გ. ასათიანი გამოჰყოფს XX საუკუნის 60-იანი წლების პოეტური აზროვნების სამ ურთიერთკონტრასტულ მოდელს: 1. ირაკლი აბაშიძის მიზანმიმართული კურსი პოეზიის „მარადიული“ პრობლემატიკისა და მყარი, კლასიკური ფორმისაკენ („აკადემიზმის“ ნაკადი, რომელიც სათავეს იღებს ციკლიდან „რუსთაველის ნაკვალევზე“); 2. ურბანისტული პოეტური აზროვნების გაღრმავება, „რთული“ პოეზიის აღმოცენება, რომელიც ოთარ ჭილაძის შემოქმედებას უკავშირდება და 3. მურმან ლებანიძის შემოქმედება – „პოეტური სიხალასის, შინაური, სადა, გულითადი ინტონაციების, და, შესაბამისად, გასაგები, ხალხური „გამდაბიურებული“ ფორმის მედროზე“ (ლიტ. პროც. და კრიტ., 1980, გვ. 19).

მიღმური სათქმელი იკითხება მ. ლებანიძის პატრიოტული თემატიკის ტაეპებში: „გასწით, ხარებო, ღვინიებო და წიქარებო, გასწით, ხარებო – თქვენი გზა ნახეთ!“ (ლებანიძე, 2012, გვ. 77) ან „ჩვენ თვალს ვაყოლებთ სამხრეთისკენ გაფრენილ ჩიტებს...“ (ლებანიძე, 2012, გვ. 34). თამამი და ბუნებრივია სამშობლოსადმი მიძღვნილი ლექსები. პოეტს, რაჭის ბუნების შვილს, გულს უტეხს ქართული ვაზის ჯიშების გადაგვარების ფაქტი, დაცლილი სოფლები, ნამარნალები, ნაურმალები... იგი პირდაპირ აცხადებს: „მეშინია, ეს სამოთხე, ეს წალკოტი სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს!“ (ლებანიძე, 2012, გვ. 204).

მ. ლებანიძე ბევრგან თხრობის პუბლიცისტურ სტილს იცავს („ფუნდუკში, დილით, წვეწვს ხვრეპდნენ სამნი,“ „მატარებლიდან“...), ეს განსაკუთრებით იმ ლექსებზე ითქმის, პოეტის მეუღლეს, ელენე ჭავჭავაძეს რომ ეძღვნება: „დათვები,“ „ელენეობა – მაისის ღამეს,“ „როგორ არ ვწუხდე,

როს ფერი მიგდის“ და სხვ. მათში ყოველდღიური საზრუნავი და ჭირისუფლის გულისხმიერებაა ჩაქსოვილი.

ნაომარი კაცის განცდებია აღბეჭდილი მ. ლებანიძის ფრონტულ ლირიკაში („სურათი – 1943“, „არც რაინდობა,“ „ათასი კილომეტრი თოვლში!“ „მარუხისაკენ“...). ახალგაზრდობაში განვლილი ომის გზა მის წარმოსახვაში წლების შემდეგ არაერთგზის ცოცხლდება. „*დამესიზმრება: სისხლის წებო ჩემმაში ჩამდის და, როგორც კურდღელს, მესერშიტი მინდორში დამდევს...*“ (ლებანიძე, 2012, გვ. 196). ლექსებში ფრაგმენტულ კადრებად გაილევეს თოვლსა და ყინვაში ფეხით განვლილი ათასი კილომეტრის თუ ცხენ-კაცის ლემით მოფენილი მინდვრების აგონია. პოეტი იმ ადამიანების სახეებსაც არ ივიწყებს, დაჭრილ ჯარისკაცს მხარში რომ ამოუდგნენ და ადამიანური სითბო გაუნაწილეს („გარიაჩი-კლიუჩიდან კრასნოდარამდე“).

მ. ლებანიძეს ეკუთვნის უამრავი მიძღვნილი ხასიათის ლექსი: „ოთარ ჭელიძეს,“ „ბორის პაიჭაძეს,“ „თამუნია ქავთარაძეს,“ „ლადო,“ „ანა კალანდაძეს,“ „ილიას“ და სხვ. ამასთან, ადრესატები, არცთუ იშვიათად, საზოგადოებისთვის უცნობნი არიან („ლილი,“ „გვაშაყან“...).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლი, სადაც მონუმენტურადაა აღქმული ქართული პოეზიის უგვირგვინო მეფის ფიგურა, სწორუპოვარი სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც: „*ყვავილების მდინარეს რკინის კუბო მიჰქონდა, იწვა გალაკტიონი, სივრცეებზე ფიქრობდა*“ (ლებანიძე, 2012, გვ. 138). მემუარული ლირიკის ეს ნიმუში პირველად 1968 წელს გამოქვეყნდა. აქ ფრაგმენტულადაა გაშუქებული პოეტის ცხოვრებისეული დეტალები, ოსტატურადაა ჩართული სასაუბრო ინტონაციები და გროტესკული ელემენტები.

მ. ლებანიძის ლირიკული ლექსის რიტმი მელოდიურია და მრავალხმოვანი, განსაკუთრებით იზოსილაბური საზომებით დაწერილ ლექსებში. პოეტს შემოაქვს თავისუფალი ლექსის ელემენტებიც. იგი ჰეტეროსილაბური ლექსის („ფიქრები,“ „ქართველის დედა,“ „ათასი კილომეტრი თოვლში“...) დიდოსტატია. მაგალითად, გ. თიკანაძის დაღუპვის გამო დაწერილ ელეგიაში „ვოი,“ პოეტი სხვადასხვა სალექსო საზომს იყენებს, რაც, ვფიქრობთ, ერთგვარად ამძაფრებს აღწერილი ამბის ტრაგიზმსა და არაკანონზომიერებას. ჰეტეროსილაბური საზომითაა დაწერილი პოეტის ცნობილი ლექსი „ციცო,“ სადაც ერთმანეთს ენაცვლება 14, 10, 11, 6-მარცვლიანი ტაქტები.

სწორედ ვერსიფიკაციულ მიებათა ინდივიდუალიზმმა განაპირობა თავისუფალი ლექსის სტრუქტურული ფორმების მიგნება. ა. ხინთიბიძეს რომ დავესესხოთ: „*XX საუკუნეში ქართული ლექსი უფრო მეტი სიზუსტით იცავს რიტმულსა და მეტრულ კანონზომიერებებს, მრავალფეროვანი ხდება ქართული ლექსის სტროფის ვარიანტები, ჩნდება ასტროფული ლექსი: მკვიდრდება პოლიმეტრული სტროფი; უმთავრეს ადგილს იჭერს ვერლიბრი*“ (ხინთიბიძე, 2009, გვ. 143).

მ. ლებანიძის, როგორც პოეტის, პიროვნებისა და შემოქმედის, სახე შეუცდომლად იკითხება ლექსში „დათვზე ნადირობა“: მდეღვარე, სისხლიანი დღის ბოლოს პიროვნულ „მე“-სთან განმარტოებული ლირიკული გმირი მწარედ განიცდის თავს დატეხილ კომმარს, რადგან ველური ხილითა და ყვავილებით მოჩითულ მდელოზე ადამიანებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ბუნების უწყინარი ქმნილება – დათვი, „*ხბოსავით რომ სძოვდა თავჩარგული*“: „*დამლილი ჩვენგან ცალკე ხორცად და ცალკე ტყავად, თუ დათვი თავად, ღმერთო ჩემო, რომელი სჯობდა?!*“ (ლებანიძე, 2012, გვ. 153) – კითხულობს ბედისწერის განჩინებაზე გულდაწყვეტილი პოეტი.

შეუძლებელია, არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ პოეტს შემოქმედებითი პროცესისათვის თითქმის მიუღებელ პირობებში – ტოტალური ზეწოლის, სკკპ ცკ-ს დადგენილებებისა და დირექტივების ზეობისას მოუწია ცხოვრება და მოღვაწეობა, მაგრამ არ აჰყოლია ცდუნებებს, არ დასდგომია „ხუთწლედის“ მეხოტბეთა გზას. მას სხვა ღირებულებები და მრწამსი ამოქმედებდა – ჭეშმარიტი და მარადიული. სწორად შენიშნავს ა. ბაქრაძე: „*შემოქმედებითი თავისუფლება უპირველესად ორ აუცილებელ კომპონენტს გულისხმობს – პირველი, მწერალს (საერთოდ ხელოვანს) უნდა ჰქონდეს საკუთარი კონცეფცია და მეორე – ზნეობრივი პასუხისმგებლობა. ლიტერატურის პარტიულობის*

პრინციპი უარყოფს ორივე კომპონენტს და, ამდენად, შემოქმედებით თავისუფლებასაც“ (ბაქრაძე, 1990, გვ. 31).

თვითნაბადი ნიჭისთვის უცხოა შური სხვისი სიკეთის გამო. ამის დასტურია ა. კალანდაძისა და მ. მაჭავარიანის პირველი ნაბიჯების მ. ლებანიძისეული შეფასება: „ანა კალანდაძის სახელთან ერთად მუხრან მაჭავარიანის სახელმა ახალი პერსპექტივები გაანათა შტამპის ბატონობისა და აზრის სიღარიბის პირობებში. [...] მუხრან მაჭავარიანი ანგრევდა ძველ რიტმულ კონსტრუქციებს, ქმნიდა ახალ ჰარმონიებს, აახლებდა დიდი ხნით მივიწყებულ თავისუფალ ლექსს“ (ნიკოლეიშვილი, 1982, გვ. 317).

მუხრან მაჭავარიანმა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრო ქართველი მკითხველის ყურადღება. „საბა,“ „ვითარცა მტკვარი,“ „დუმილი რეკავს“ და სხვა ლექსები შედეგურებად იქცა. ერთგან პოეტი აღნიშნავს: „მთავარი ხმა, სათქმელის შესატყვისი ხმა“ (მაჭავარიანი, 2006, გვ. 3). მისი ლირიკული გმირი გულმხურვალე მამულიშვილია, ერის გამომაფხიზლებელი („ტა, ტა, ტა, ტა!“ „მადლი იმ ხართა,“ „შენ, სისხლო ჩემო“ და სხვ.). წინაპართაგან მ. მაჭავარიანს საკუთარი კერპები ჰყავს: შოთა, საბა, დავით მეფე, გურამიშვილი, ილია... უყვარს სიძველეთა და საესავ ტაძართა ჩამოთვლა, რაც მისი ხელწერის ერთ-ერთი თავისებურებაა.

პატრიოტულთან ერთად მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაში ყველაზე უხვად ფილოსოფიური ნაკადი ჭარბობს: „კაცი, რომელიც არაა ყალბი,“ „ყოველნაირი სიხარული სევდისკენ მიდის!“ „ვითარცა მტკვარი,“ „ვაგლახ!“ ცხოვრების წარმავლობაზე ჩაფიქრება შეიძლება, სულ უბრალო ყოფითმა მოვლენამაც კი გამოიწვიოს, როგორც, მაგალითად, ძაღლის ყეფა: „დღეს არა, – ხვალე უკვე ვეღარ დაგირღვევს დუმილს ხმა ვეღარც მამლის, ვეღარც ძაღლის, ვეღარც ელმავლის“ (მაჭავარიანი, 2013, გვ. 55), მაგრამ მისი უმთავრესი საფიქრალი მაინც სამშობლოა: „საქართველომ დღემდე მოაღწია ციხით. აწი? დღეის შემდეგ? დღეის ამას იქით?“ (მაჭავარიანი, 2006, გვ. 96).

ა. ნიკოლეიშვილი აღნიშნავს, რომ „მ. მაჭავარიანის პოეზიაში დედაენისადმი სიყვარული პირდაპირი გამოვლენა გახდა იმ ანტიპარტიული და ანტისაბჭოური შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც აგაეშჩინის სახელითაა ცნობილი“ (ნიკოლეიშვილი, 1982, გვ. 404). პოეტმა ქართული ენის უნიკალურობასა და ძველთაძველობას არაერთი ლექსი უძღვნა: „ენა ქართული,“ „რაშია საქმე?!“ „ტა, ტა, ტა, ტა“...

მ. მაჭავარიანისათვის ჟამი ერთ სიბრტყეში მოიაზრება. გმირულ წარსულზე ბევრს წერს და თან – აწმყოსთან ორგანულ კავშირში. ქართველ ერისკაცს სწორედ დახავსებული ქვებისა და მიტოვებული ტაძრებისა თუ სალოცავების ჰარმონია იტაცებს: „ხან ვერად შვინდი, ხან ვერად ლეგა, – რეკავს სამრეკლო ხმადაკარგული“ (მაჭავარიანი, 2006, გვ. 90). შემოქმედისათვის წარსულის ნაკლოვანი თუ უნაკლო დღეების ლირიკაში ასახვა ხშირ შემთხვევაში ალეგორიული გზაა აწმყოს შესაცვლელად, მომავალზე დასაფიქრებლად.

მ. მაჭავარიანის ლირიკის ტონი ძირითადად პათეტიკურია. ეს თავისებურება ელეგიურ ლექსებსა და მიძღვნებშიც იგრძნობა – „ილიასადმი,“ „პაოლო,“ „ქაქუც!– ავაჰმე!“ და სხვ. მ. მაჭავარიანის ემოცია არაა რთულად ამოსაცნობი, არც ქვეტექსტებია ჩახლართული. პოეტისათვის ნიშანდობლივია სათქმელის პირდაპირ, თავდაჯერებული ადამიანის ინტონაციით, ჩამოყალიბება.

მ. მაჭავარიანის ლირიკული ლექსის გამომსახველობითი სტილი ე. წ. „დატეხილი“ ტაეპებიტაა განსაზღვრული, რაც ერთგვარად რიტმის შენელებას იწვევს, მაგრამ ხელს უწყობს ნათქვამის უფრო ეფექტურად, დაგემოვნებით გამოხატვას: „მზე ამოდიოდა, მთვარე ჩადიოდა...“ (მაჭავარიანი, 2006, გვ. 10).

შემოქმედთან მრავლად მოიძებნება ვერსიფიკაციული მიგნებანი როგორც სალექსო საზომში, ისე – თემატურად. ორიგინალურია მისი სახეები და შედარებები: „ალაზანიც იმნაირად ბზინავს, როგორც თეთრი წმინდა ნინოს თმაში“ (მაჭავარიანი, 2013, გვ. 84), „ქვევრში ღვინოა და ღვინოში მთვარე აგდია“ (მაჭავარიანი, 2013, გვ. 174) და სხვ.

მ. მაჭავარიანი თამამად მიმართავს კუთხური მეტყველებისათვის დამახასიათებელ სიტყვებსა და გამოთქმებს: როა, აქანამდე („კრთის ენა ქართული, მოსული აქანამდე!“), აწი („რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის აწი...“ (მაჭავარიანი, 2013, გვ. 243)), „სით გავიქცე, ¶ მუნ წავიქცე!“ (მაჭავარიანი, 2013, გვ. 239) მოხოსრავდა, წერამს, ახლორეა და ა. შ. აღნიშნული მეტ ბუნებრიობას სძენს პოეტის სათქმელს, ვინაიდან „ლირიკაში დეტალების, ნაწილების ჰარმონიულობა სახიერდება მოქმედებაში, განვითარებაში, წინააღმდეგობასა და დიალექტიკაში“ (ლიტ. თეორ. საფუძვ., 1986, გვ. 457).

მ. მაჭავარიანის ლირიკის რიტმი მოწესრიგებულია, მაგრამ გვხვდება შედარებით ტრაფარეტული რითმებიც („იცის-ღირსი,“ „საქები-მაგების“ და სხვ.). ა. ნიკოლეიშვილი შენიშნავს: „40-50-იან წლებში ქართველი მკითხველისათვის რამდენადმე უჩვეულო და მოულოდნელი აღმოჩნდა მ. მაჭავარიანის მიერ გამოქვეყნებული „ხორკლიანი“ ლექსები. ამგვარ ფორმისეულ სიახლეს ის მოჭარბებული სასაუბრო ინტონაციებიცა და ყოფითი დეტალებიც ემატებოდა, რომელნიც მან შემოიტანა და დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში თავისი პირველივე ნაწარმოებებით“ (ნიკოლეიშვილი, გვ. 414).

მ. მაჭავარიანს უხვად აქვს ე. წ. სატირულ-იუმორისტული ხასიათის ლექსები („ის,“ „ხმას ამოიღებ“ „უბედურება რა გინდა მეტი,“ „გარეწარი,“ „რომელსაც შენი მონობა ჰმართებს...“), სადაც საკუთარი ეპოქის სიმახინჯეებს (უვიცობას, მექრთამეობას, ქედმაღლობას, ნიჰილიზმს...) დასცინის.

პოეტს მითური ფრინველი ფასკუნჯი ერის ბედისა და უბედობის თანაზიარად გამოუსახავს არაერთ ლირიკულ ლექსში – „ჩამომზღვეული სვეტიცხოველით დრტვინავს ფასკუნჯი“ (მაჭავარიანი, 2013, გვ. 144), – წერს ერთგან. მის ლირიკულ გმირსაც მზისკენ ფასკუნჯი მიაფრენს (ლექსში „ფასკუნჯი“), ოღონდ – როგორც საგზაღს. ამ სრბოლაში ილევა ადამიანი, მაგრამ არ ეპუება ხორციელ ტკივილებს.

მ. მაჭავარიანის ფასკუნჯი ლურჯია, მთაგრეხილივით ბეჭები აქვს, რაც მის ძლევამოსილებაზე მიგვანიშნებს... გზად შავი ყორანი ხვდებათ („ტატოსია თუ პოსია?!“ (მაჭავარიანი, 2013, გვ. 152), – კითხულობს ლირიკული გმირი). იგი მზადაა, სრბოლას თავი შესწიროს, ბოლომდე გაიხარჯოს. ზღაპრულ-მითოსური სამყაროს ელემენტები ხაზს უსვამს ლექსის ლირიკული გმირის თავგანწირვას. ამ დიდებულ წამებშიც საქართველოა პოეტის „წვიმაც, თოვლიც და ყინვაც!...“ (მაჭავარიანი, 2006, გვ. 73). იმ თვალშეუდგამი სიმაღლიდანაც საკუთარ წინაპრებსა და სიწმინდეებს ხედავს: „გაფრენილს, – მზისკენ გაფრენილს, – შემომცქერიან დაბლიდან: ხცისი, ბელლევი, ავლევი, თიღვა, იკორთა, მთაწმინდა...“ (მაჭავარიანი, 2013, გვ. 152)

ლექსის ლირიკული გმირი პოეტის მთელი შემოქმედების განზოგადებული სახეა. „ლირიკოსი არჩევს ერთ არსებით ობიექტურ მომენტს, ავითარებს მას ასოციაციებში, გრძნობის მოძრაობაში და აქცევს თავისი ესთეტიკური იდეალის შესატყვის მხატვრულ ფენომენად.“ (ლიტ. თეორ. საფუძვ., 1986, გვ. 449) ფასკუნჯი პოეზიაა, რომელიც სულსა და ხორცს სთხოვს ყველას, ვინც მის მოხელთებას გადაწყვეტს. საბოლოოდ პოეტი თავად ხდება „ფასკუნჯის“ ფერების გამოსახვის საშუალებების ძიებათა ტყვე, ხშირად – მსხვერპლი.

გ. ასათიანი ერთგან შენიშნავს: „მუხრან მაჭავარიანი, როგორც პოეტი, არ დალატობს თავის თავს, ისევ სხვათა მიერ უვალი გზებით მიიწევს წინ და თავის საუკეთესო ლექსებში კვლავ დამოუკიდებელ შემოქმედად გვევლინება. ზოგიერთ მის ლირიკულ მინიატურას გრძნობის ნამდვილი სიღრმე, და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მტკივნეული ძიების კვალი ეტყობა“ (ლიტ. პროც. და კრიტ., 1980, გვ. 16).

შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებაში უხვადაა სატრფიალო ლირიკა. პოეტის იდეალი ოდნავ გამომწვევი, ოდნავ დაბნეული და კდემამოსილი გოგონაა, ვაჟის დანახვაზე მუხლისთავებსა და მკერდს რომ იფარავს. პოეტი წერს: „ძლივს დატეულხართ ვიწრო კაბაში შენ, გაზაფხული და“ (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 107). როგორც მ. ლეზანიძე ციცოთი, შ. ნიშნიანიძეც მოიხიბლა ტურფა ასუ-

ლით, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ მასზე ოცნებას დასჯერდა („სახუმარო“), – ბედნიერებამ მის ყურისძირთან „აცდენილი ტყვიასავით გაიზუზუნა“ (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 153).

შ. ნიშნიანიძის სიყვარულის საგანი არც ოფელიაა და არც არამიწიერი არსება. იგი უბრალო, სიცოცხლით სავსე გოგონაა, თავისებურად ჭირვეული, ზოგჯერ – მიუხევედრელი, ჭეშმარიტ გრძნობას რომ ვერ აფასებს. ლექსი „წვიმა და მეზობლის გოგონა“ ირონიანარევი სიხარულითაა სავსე, ფერებიც მკვეთრია, როგორც წვიმაში: „*მავთულეზე მიჯრით წვეთი წვეთზე ცოცავს და მე შენსკენ ვატან გაუბედავ კოცნას...*“ (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 125).

საყვარელი ადამიანის დანახვა ლექს „გახსენების“ ლირიკულ გმირს თითქოს ფეხქვეშ ნი-ადაგს აცლის – ეს სტუდენტობისდროინდელი მოგონებაა... შემდეგ ოჯახური იდილია ისადგურებს – შვილზე ზრუნვა, უმიზეზო ეჭვი და ჭირვეულობა. „*ეროტიკული პათოსის“ ფრიად ელეგანტური, მეხსიერების წიაღიდან დიდი ტაქტითა და სიფაქიზით ამოზიდული ფრაგმენტები, პოეტის პიკანტური ცხოვრებისეული ეპიზოდების რომანტიკულ ანარეკლებად სახიერდება. არაფერია მასში მაპროვოცირებელი, ფრივოლურ ემოციათა გამომწვევი... რადგან იგი, როგორც ხელოვნების ნიმუში, მხოლოდ ესთეტიკური „სამოსელით“ შემოდის ჩვენს ცნობიერებაში“ (ლიტ. პროც. და კრიტ., 1980, გვ. 165).*

ლირიკული ლექსი „პატარა იყავ და ამიტომაც“ მთელი სისავსით წარმოაჩენს ძლიერი გრძნობის აღმაფრენასა და ტრაგედიას. იმ დარდიანმა, გაუბედავმა მზერამ, ლირიკული გმირის თვალებში რომ აირეკლა, გოგონაში ქედმაღლური ბუნება გააღვიძა. ვაჟი მიხვდა, რომ სწორედ მუდართ სავსე მზერამ დაამსხვრია მისი იმედები: „*თვალეში როცა ჩაგხედე, კარგო, შენ თვალში მაშინ დავპატარავდი“* (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 114). მართლაც, „*ლირიკული პოეზია სახეებსა და სურათებს იყენებს უსახო და უფორმო გრძნობის გამოსახატავად, რომელიც ადამიანის ბუნების შინაგან არსს შეადგენს“* (ბელინსკი, 1952, გვ. 362).

შ. ნიშნიანიძეც საკუთარი შემოქმედების ამოსავალს ქართულ ხალხურ პოეზიაში ეძიებს. მისი მხატვრული სახეები მითოსით საზრდოობს. პოეტი პირდაპირ წერს: „*მე ვარ მისანი ხარი წიქარა, შენი დვრიტა ვარ, მამულ-დედულო, ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე, რომ გემსახურო და გიერთგულო“* (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 86). ვეთანხმებით ს. სიგუას მოსაზრებას, რომელიც გამოთქმულია სტატია „მწვანე წელიწადში“: „*შოთა ნიშნიანიძის ლექსების ერთი რკალით სინამდვილის მრავალწახნაგოვანი სფეროდან გამოტანილია მითოსურ-ისტორიული შრე. შორეული წარსული ერთმემა დღევანდლობას“* (ლიტ. პროც. და კრიტ., 1980, გვ. 209).

შ. ნიშნიანიძის პოეზიაში ქართველთათვის ოდიოტანვე საკრალური ცხოველი ხარი არაერთ ლექსში ფიგურირებს: „*ვარ წუთისოფლის გზებზე გამდგარი ქედგახეხილი ხარი ნიკორა“* (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 344). პოეტი სწორედ ხარს აიგივებს „ვეფხისტყაოსანთან,“ სვეტიცხოველთან, დიდგორთან... „*მთიდან ჩამორბოდნენ ხარები ბარადა და რქებით ჩხვერავდნენ კრწანისს და მარაბდას!“* (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 18)

პოეტის კალამი არაერთგზის უბრუნდება ამორძალებს, ჭინკებს, ამირანს („ამირანის ნათლობა,“ „საამირანო“). ერთგან ამგვარი ხერხი არჩია: ღმერთთან მეზობლი პერსონაჟი უნიათო, ცხოვრებით კმაყოფილ კაცად დახატა, დევებს დარდიმანდულად რომ ესალმება და ამბოხზე აღარ ფიქრობს. ეს ლექსი პუბლიცისტური სტილითაა დაწერილი და ადამიანს საკუთარ შესაძლებლობებსა და სურვილებს შორის გადებულ ზღვარზე დააფიქრებს, ანუ – რისი გაკეთება ძალგვიძს და რას ვჯერდებით („ამირანი“. ნიშნიანიძე, 2013, გვ. 308).

შ. ნიშნიანიძის ლექსებში უამრავგან შეინიშნება ფილოსოფიური ნაკადი: „სინანული,“ „კარუსელი,“ „ფორმულა“... ლექსში, „კენჭი ვისროლე მდინარეში“, პოეტი ადამიანის უმწეობაზე საუბრობს, მიზნის აღსრულებისთვის რომ არ იბრძვის, სხვაგან წერს: „*დავბრუნდებით, გადავალთ არარაობაშივე – წუთისოფლის სტუმრები, აბა, რაღა გვაშინებს?..“* (ნიშნიანიძე, 1990, გვ. 155). დიდსულოვანი მონღოლის დიდსულოვნურად შეფასებაც მხოლოდ მაღალი ბუნების ადამიანს შეუძლია:

„...*ნუ ვადიდებთ მარტოდენ ცოტნეს, ვახსენოთ სახედაღრეჯილი ლომი მონღოლიც, გმირობისა და ვაჟკაცობის უბადლო მცოდნე...*“ (ნიშნიანიძე, 1990, გვ. 80).

შ. ნიშნიანიძის ლირიკული პოეზიის ერთი ნაწილი პატრიოტული ხასიათისაა: „თევდორე“, „მონღოლები“, „იოანე ბერი“, „ცოტნე დადიანი“, „მამელუკები“... განსაკუთრებული გრძნობიერებით გამოირჩევა „აფხაზური კანტატა:“ „*შენს კალთას ასდის თაფლის სუნი, ირმის რძის სუნი, ყრმობის ზღაპრო, მართლა ზღაპრულ სვე-ბედს გისურვებ*“ (ნიშნიანიძე, 1990, გვ. 73). „*მან, როგორც პოეტმა და მოაზროვნემ, განსაკუთრებული სიღრმით შესძლო წარმოედგინა ისტორიის ავანსცენაზე გათამაშებული შხამიანი მოვლენების სრული აბსურდულობა*“ (ბენაშვილი, 2002, გვ. 154). პოეტი უსაქართველო აფხაზეთს მკერდმოჭრილ ამორძალს ადარებს. ლექსი ელეგიური ლირიკის ნიმუშია.

შ. ნიშნიანიძე უბრალო ქართველ კაცზე წერს, „*წინაპრის ცრემლით ამომანთულ*“ (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 184) სალამურსა და შაშვის გალობას რომ აღმერთებს, სვანეთის მთას, როგორც ცოცხალს, რომ აღიქვამს: „*გადაალაჯებს ენგურის წყალს ბაყბაყდევივით, ამოჩრილი აქვს იღლიაში სვანთა სოფელი*“ (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 92), ქვიდან ამოხეთქილ ბალახს რომ შეხარის.

სოფლიდან ჩამოტანილ, ქუჩა-ქუჩა გასაყიდად დატარებულ ყვავილების მიწას, როგორც მშობლიურ ეზო-გარემოსთან დამაკავშირებელ მარღვს, ისე აღიქვამენ ადამიანები. შ. ნიშნიანიძე კი ლექსში „ყვავილების მიწა“ შინდისელი დიაკაცის გაჭირვების წარმოდგენასთან ერთად თბილისის ძველი უბნების გაქრობის პრობლემასაც ეხება: „*გაქრა ძველი თბილისი თავის ციებ-ცხელებით, თავის მაწვნის ქილებით, სახედრებით, ცხენებით*“ (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 194), – წერს პოეტი.

ელეგიური განცდაა ჩაქსოვილი ლექსებში: „ორი ტირიფი“ და „ვაზის სიმფონია.“ პოეტი ერთი სტროფით ხატავს შემოდგომის ბარაქიან სურათს: „*ფეხქვეშ გათელა შემოდგომამ ხეჭეჭურები, ჩამოიარა ეზო-ეზო სავსე ხელადით*“ (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 188).

შ. ნიშნიანიძის მდიდარ შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ე. წ. ინტიმურ-მედიტაციურ მოტივებს: „დედა“, „სიზმარში გნახე: ისევ კვდებოდი“, „კარს მივადექი...“ განსაკუთრებული გრძნობიერებითაა დაწერილი ელეგიური ლექსი „მესიზმრა გიორგი შატბერაშვილი“: „*და მკვდრის მზე, როგორც ნათელკაცობა, მხრებზე დაადგა შარავანდივით*“ (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 172).

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიისას დაღუპულებს უძღვნა პოეტმა ლექსი-დატირება: „*–თეთრი გედი მღეროდაო? ვაჰ, შენს დედასაო! შენც სიმღერით მომიკვდები... ვაჰ, შენს დედასაო!*“ (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 235). ელეგიური ლექსი „ბიჭები“ კი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში გმირულად დაღუპული ყმაწვილების გმირობას ეხება: გავროში საფრანგეთისთვის მოკვდა, პაატა – საქართველოსთვის, ფაშიზმთან ბრძოლას შეეწირა ოლეგი. „...და ქვეყნად რაც კი იმედებია, აუზი-ღია მათ ბავშვურ მკლავებს.“ (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 250).

ორიგინალური და გულისხმიერებით სავსეა შ. ნიშნიანიძის მიძღვნილი ლირიკა („პავლე ინგოროყვას“, „ოთარ მამფორიას“ და ა. შ.) გიორგი სააკაძისადმი მიძღვნილ ლექსში მამაცი მხედართმთავრის საბრძოლო დიდების აღწერასთან ერთად პოეტმა მის წინააღმდეგობრივ ბედსაც გაუსვა ხაზი: „*გზაჯვარედინად გაიკლავნა ბედი როკაპი და მოგაწივდა, მოგასივდა გველის ორკაპი*“ (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 293). გალაკტიონის ტრაგიკულ აღსასრულს ასე განმარტავს: „*და რაკი სრულად ეკუთვნოდა ცასა და მიწას, მიწამ სხეული მიიზიდა და ზეცამ სული*“ (ნიშნიანიძე, 2013, გვ. 168).

სატირულ-იუმორისტული ნაკადის ლექსებში: „დიდი და პატარა პოეტების შესახებ“, „ქალეზის შეფასება ბერბიჭას მიერ“, „ძველად წარსულში“ და სხვ. პოეტი დასცინის ადამიანურ სიყალბეს, სხვისი განქიქებისა და საკუთარი ნაკლის ვერშემჩნევის მანიას.

შ. ნიშნიანიძეს ძირითადად კლასიკური ფორმითა და დახვეწილი შინაარსის ნაწარმოებები აქვს, მაგრამ მისი ზოგიერთი ლექსი ჰეტეროსილაბური საზომითაა დაწერილი: „*ორღობებში გუბე-გუბე რომ მიტყაპუნებს, (14) ვით ფეხშიშველი სოფლელი გოგო... (10)*“ (ნიშნიანიძე, 1990, გვ. 169). ჰეტეროსილაბური საზომითაა დაწერილი „სვანეთის მთაც.“

თეთრი ლექსის ფორმითაა დაწერილი „ბედნიერება.“ აქ რიტმულობა დაცულია, ამიტომ არ ვსაუბრობთ ვერლიბრზე, რომელიც „მეტრულ წესრიგს დაუმორჩილებელი ლექსია“ (ხინთიბიძე, 2000, გვ. 60).

შ. ნიშნიანძის პოეზიისათვის თხრობითი ინტონაციაა ნიშანდობლივი. თემატურად ლექსები მრავალფეროვანია: ინტიმურ-მედიტაციური, ისტორიული, მითოსური, პატრიოტული, სატრფიალო, სატირულ-იუმორისტული. პოეტი საკუთარი „მე“-ს გამოსახატავად იყენებს ლირიკულ ასოციაციებს, მითოსურ ელემენტებს, შედარებებს, ეპითეტებს. მასთან რიტმი და რითმა ძირითადად მოწესრიგებულია, კლასიკურ დონემდე დახვეწილი.

„პოეტი შეგნებულად ერიდება ურბანისტული გარემოს წარმოსახვას. მის ლირიკას ქალაქიდან გავყვართ სოფელში. [...] არ აინტერესებს ტექნიკის მიერ რეკონსტრუირებული სამყაროს მოდელი. მის ლექსებში არ სჩანს ავტომობილი, ტრამვაი, ტროლეიბუსი, ცათამბჯენები, ტელეფონი, ინსტიტუტი, ასფალტი, ფაბრიკა, ქარხანა, ელექტრონი და საერთოდ ის ატრიბუტები, რაც ქმნის ქალაქურ ყოფას“ (ლიტ. პროც. და კრიტიკ., 1980, გვ. 213).

ლექსში „ბროწეულა,“ მშობლიური ეზო-კარის და სოფლის დაკარგვის შიში იკითხება: *„ვაი, სადაც დავბერდი, ველარავინ ვიცან, დასაკლავი ხარივით ჩავბლაოდი მიწას“* (ნიშნიანძე, 2013, გვ. 178). ეს ბოლო ფრაზა, ალბათ, ის დიდი და ძირითადი სათქმელია, შ. ნიშნიანძის ლირიკულ გმირს რომ აწვალებს.

ანა კალანდაძის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას კეთილმოსურნე თანამოკალმეთა მხრიდან დიდი აღფრთოვანება მოჰყვა. წლების შემდეგ პოეტი ქალის ღვაწლს მ. მაჭავარიანი ასე აფასებს: *„რა ხანია არსებობს ეს ცა, ეს ზღვა, ეს მზე, ეს ტყე და კიდევ ძალიან ბევრი რამ. უთვალავი თვალი უმზერდა და უმზერს ყოველივე ამას. მაგრამ ეს ყოველი არავის უხილავს ისე, არავის უგრძნია ისე, არავის უთქვამს ისე, ვითარცა იხილა ანამ, ვითარცა იგრძნო ანამ, ვითარცა გამოთქვა ანამ. [...] როცა ანას ვკითხულობ, – ერთი მისი სტრიქონი მაგონდება ნიადაგ: „წყავის ფოთოლი, ნამს რომ ფრთხილად ინახავს, თრთოლვით...“* (მაჭავარიანი, 2013, გვ. 261).

ა. კალანდაძესაც ქართული ლექსის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია უწინამძღვრებდა. პოეტის ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლამ თავიდანვე დიდი რეზონანსი გამოიწვია: გამომსახველობის ახალი ფერები, თავისებურებანი, საბჭოთა სინამდვილისათვის უცნაური და უცხო თემები... გ. ასათიანი შენიშნავს: *„ანა კალანდაძის ლირიკიდან ჩვენ მოგვესმა დიდი ხნის ნანატრი იდუმალი მუსიკა პოეზიისა – სულის განმწმენდი და ამამაღლებელი“* (ლიტ. პროც. და კრიტიკ., 1980, გვ. 16).

ომის შემდეგ, ჯერ ისევ დამაბულ ვითარებაში, პოეტი ქალი ხოტბას ასხამდა ზენაარს, უმღეროდა ქართულ მიწას და ცას, ბუნებას: *„ატირდნენ მთები და ლამის მეც ავტირდე, ნაძვები და-ლონდნენ და მეც, მეც ვლონდები...“* (კალანდაძე, 2013, გვ. 28), *„სასაფლაოზე ქარი დაძრწის და აკლ-დამებში დაეძებს სადგურს...“* (კალანდაძე, 2013, გვ. 18). ისე თავისუფლად წერდა იესოსა თუ წარმართულ ღვთაებებზე („მე მივაშურებ ურარტუს ქვაბებს,“ „უსმენს,“ „განუდგა მოგვთა“...), თითქოს, მის გარშემო ათეიზმი არ ზეოზდა.

სიტყვათა თუ ფრაზათა მიზანმიმართული განმეორებით ა. კალანდაძე მეტ ემოციასა და გამომსახველობას სძენს სათქმელს: *„უხმობს ზენაარს, ზენაარს უხმობს ჯვარზე გაკრული. არ ჩანს „ღრუბელი მაგრილებელი,“ – ცრემლი აპკუროს“* (კალანდაძე, 2013, გვ. 33). თავისუფლად იყენებს ჰეტეროსილაბურ საზომს: *„ვჭვრეტ სიყვარულით შენს დადარულ სახეს, დიდებულს, ერთ დროს ვნებიათ... შენი ოთახი ჰგავს ბიბლიურ ნოეს კიდობანს და მას ყორანნი თავს ევლებიან...“* (კალანდაძე, 2013, გვ. 9).

ა. კალანდაძის ლირიკა ხან ნაზი და ალერსიანია, ხან წინაპრის სიტყვას მინდობილი, საკუთარ ჟღერადობას ანიჭებს საკითხავს: *„სხვა საქართველო სად არი?“* (კალანდაძე, 2013, გვ. 3). პოეტისათვის უცხოა ე. წ. „საჩოთირო“ სიტყვა. *„ანა კალანდაძის ყოველი ლექსი განუყოფელი ნაწილია მისი უაღრესად საინტერესო, რთული და ფაქიზი სულისა და რომ ეს არის ერთ და იმავე*

დროს ღრმად თავისებური, განუმეორებელი და ამასთან ყოველი ჩვენთაგანისათვის გასაგები, ნათელი და ახლობელი სული“ (ასათიანი, 1963, გვ. 218).

თუ მ. ლებანიძესთან, მ. მაჭავარიანთან და შ. ნიშნიანიძესთან მეტყველების არქაული ფორმები, თითქოს, ცალკეული სათქმელის შესალამაზებლად, ფრაზების დასახვეწად გამოიყენება, ა. კალანდაძის ლირიკაში უშურველად იკითხება წინაპართა სასაუბრო ქართული: „იპოვოს გული წმიდამან ცრემლმან და მეუფება თვისი ახაროს!“ „შეთქმულებიც ბორგვენ“, „იახსარს დგახარ და თავდახრილი ბუბუნებ კრძალვით...“ (კალანდაძე, 2013, გვ. 61). „მხმობს ვარსკვლავების თეთრი ღვთაება...“ (კალანდაძე, 2013, გვ. 78). „მათი ხსენება წარიღეს დროთა“ (კალანდაძე, 2013, გვ. 27).

ნიშანდობლივია, რომ რიგი ლექსებისა ვაჟკაცური შემართებით, მაღალი ტონალობით გამოირჩევა: „საცივიანოს არბევდა ქარი, ისმოდა მისი ზათქი და ბორგვა...“ (კალანდაძე, 2013, გვ. 73). იგი ლექსებში უფრო მძიმე, სევდიან ამბებს ყვება და ამ იდუმალი განდობის თანამოზიარე მისივე ლირიკული გმირია. ძირითადად ელეგიურ და საკუთრივ ლირიკულ ლექსებში პოეტი ნაკლებად იყენებს პათეტიკას.

ა. კალანდაძე წერდა ისეთ მარადიულ თემებზე, როგორც პატრიოტიზმი და გმირული წარსული: „ფეხი დამადგით“, „ასეთი დარი თუ იყო მაშინ“, „აწყურთან“, „მოდიოდა ნინო მთებით“, „შორია თამარ“ ... ისტორიული ეპიზოდები კომპოზიციურად შეკრული და დრამატიზმით სავსეა.

ლირიკულ ნაწარმოებებში („მას, ალავერდის დიდებულ ტამარს“, „მოდიოდა ნინო მთებით“, „ფეხი დამადგით“, „შორია თამარ“) პოეტმა ერის სამსახურში მდგომი არაერთი ისტორიული პირი გააცოცხლა. ლირიკული წიაღსვლებით შეახსენა მკითხველს მათი ღვაწლის შესახებ.

ლექსი „ამ სურით სვამენ“ რეკვიემია – ლირიკული გმირისა და ბუნების მიერ ომარ ხაიამის გულმხურვალე დატირება: „გული, თელილი ბედის ფლოქვებით მოკვდა, დადუმდა, დიდი ხანია... სულს მაინც შერჩა ღვინო დოქებით, ომარ ხაიამ...“ (კალანდაძე, 2013, გვ. 76).

მისტიკური იდუმალეზა მოჩანს პოეტის მიერ დანახულ გველში, „სევდიანი თვალებით რომ ლოცულობს“ (კალანდაძე, 2013, გვ. 73); იდუმალეზის ბურუსი მოსავს ძველ ქალდეას, რომაელთა აფრებს... ლაპილზე კი „ისევ დიდებული და სავსე მთვარეა...“ (კალანდაძე, 2013, გვ. 151).

„სიყვარულის აბსტრაქტიზებული უნივერსალური ხატი, როგორც გაცნობიერებული აუცილებლობა, როგორც სულიერი ჰარმონიის უპირველესი საყრდენი, ანა კალანდაძის პოეტური ინდივიდუალობის განმსაზღვრელი თვისებაა“ (ლიტ. პროც. და კრიტ., 1980, გვ. 178). ეს კარგად ჩანს პოეტის ლირიკულ სახეებში: „ძოწისფრად ირიჟრაჟა ცამან“ (კალანდაძე, 2013, გვ. 63), „ყაყაჩოებს ცეცხლი ენთოთ ტანზე“ და სხვ.

ა. ნიკოლეიშვილი აღნიშნავს: „ანა კალანდაძემ ქართულ პოეზიაში ერთმა პირველთაგანმა მოიტანა და დაამკვიდრა ქალური ალერსის განცდა... მთელი (მისი) პოეტური შემოქმედება მკაფიოდ გამოვლენილი მელოდიურობითა და მუსიკალური სინატიფითაა აღბეჭდილი“ (ნიკოლეიშვილი, გვ. 336).

როგორც ანა კალანდაძის ლირიკული შედეგრი „ღრუბლები“ აერთიანებს ცასა და მიწას, ისეა შერწყმული და გამთლიანებული სამყარო მის პოეზიაში. ლირიკოსი სიტყვით აცოცხლებს მშობლიურ ბუნებას: „თეთრი ნისლი ნისლებს ირევს“, (კალანდაძე, 2013, გვ. 59) „თოვლიან მთებზე ნათელი დგება მარადიული...“ (კალანდაძე, 2013, გვ. 171)

მურმან ლებანიძე, შოთა ნიშნიანიძე, მუხრან მაჭავარიანი და ანა კალანდაძე მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმით, ვერსიფიკაციული ძიებებითა და მიგნებებით, პატრიოტული და მოქალაქეობრივი პათოსით, მარადიულ ღირებულებათა წვდომის უნარით, სიღრმისეული სახეებითა და ქვეტექსტებით ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელნი არიან.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ლირიკული ემოციებისა და პოეტური ასოციაციების მრავალფეროვნება, იდეის სრულყოფისათვის ზრუნვა, აზრის გამოხატვის თანამიმდევრობა და ლოკალიზაცია, ლირიკული სუბიექტურობის არსი და უნივერსალური გამომსახველობითი მხატვრული უნარი – იმ საშუალებათა არასრული ჩამონათვალაია, რომლებმაც განაპირობა XX საუკუნის II ნახევრის ქართული ლირიკული ლექსის თემატური და ვერსიფიკაციული ტენდენციების მიმართულება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ასათიანი, გ. (1963). პოეზია და პოეტები, თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“.
- ბაქრაძე, ა. (1990). მწერლობის მოთვინიერება, თბილისი: „სარანგი“.
- ბელინსკი, ბ. (1952). რჩეული თხზულებანი, ტ. 1, თბილისი: „სახელგამი“.
- ბენაშვილი, გ. (2002). ლიტერატურული მედიტაციები, თბილისი: „მერანი“.
- ბერიძე, ფ. (1966). ლირიკის გამომსახველობითი თავისებურება, თბილისი.
- კალანდაძე, ა. (2013). პოეზია, ტ. 1, თბილისი: „პალიტრა L“.
- კალანდაძე, ა. (2013). პოეზია, ტ. 2, თბილისი: „პალიტრა L“.
- ლებანიძე, მ. (2012). პოეზია, ტ. 1, თბილისი: „პალიტრა L“.
- ლებანიძე, მ. (2012). პოეზია, ტ. 2, თბილისი: „პალიტრა L“.
- ლიტერატურის თეორიის საფუძვლები. (1986). თბილისი: „განათლება“.
- ლიტერატურული პროცესი და კრიტიკა. (1980). თბილისი: „მერანი“.
- მაჭავარიანი, მ. (2006). 100 ლექსი, თბილისი: „ინტელექტი“.
- მაჭავარიანი, მ. (2013). პოეზია, ტ. 2, თბილისი: „პალიტრა L“.
- მაჭავარიანი, მ. (2013). პოეზია, ტ. 3, თბილისი: „პალიტრა L“.
- ნიკოლეიშვილი, ა. ქართული ლიტერატურა, ტ. 4, მეოცე საუკუნე, ნაწ. მე-2, თბილისი: „საქართველოს მაცნე“.
- ნიკოლეიშვილი, ა. (1982). ქართული საბჭოთა ლირიკა (სამოციანი წლები), თბილისი.
- ნიშნიანიძე, შ. (1990). თხზულებანი ორ ტომად, ტ. 1, ლექსები. პოემა, თბილისი: „საქართველო“.
- ნიშნიანიძე, შ. (1991). თხზულებანი ორ ტომად, ტ. 2, ლექსები. პოემა, თბილისი: „საქართველო“.
- ნიშნიანიძე, შ. (2013). პოეზია, თბილისი: „პალიტრა L“.
- ხინთიბიძე, ა. (2000). ქართული ლექსმცოდნეობა, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- ხინთიბიძე, ა. (2009). ქართული ლექსის ისტორია და თეორია, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

References:

- Asatiani, G. (1963). P'oezia da p'oet'ebi. [Poetry and Poets]. Tbilisi: „lit'erat'ura da khelovneba“.
- Bakradze, A. (1990). Mts'erlobis motviniereba. [The Taming of Writing]. Tbilisi: „sarangi“.
- Belinsk'i, B. (1952). Rcheuli tkhzulebani. T'. 1. [Selected Works, Vol. 1]. Tbilisi: „sakhelgami“.
- Benashvili, G. (2002). Lit'erat'uruli medit'atsiebi. [Literary Meditations]. Tbilisi: „merani“.
- Beridze, p. (1966). Lirik'is gamomsakhvelobiti tavisebureba. [The Expressive Peculiarity of Lyric Poetry]. Tbilisi.
- K'alandadze, A. (2013). P'oezia. T'. 1. [Poetry, Vol. 1]. Tbilisi: „p'alit'ra L“.
- K'alandadze, A. (2013). P'oezia. T'. 2. [Poetry, Vol. 2]. Tbilisi: „p'alit'ra L“.
- Lebanidze, M. (2012). P'oezia. T'. 1, [Poetry, Vol. 1]. Tbilisi: „p'alit'ra L“.
- Lebanidze, M. (2012). P'oezia. T'. 2, [Poetry, Vol. 2]. Tbilisi: „p'alit'ra L“.
- Lit'erat'uris teoriis sapudzvlebi. (1986). [Fundamentals of Literary Theory]. Tbilisi: „ganatleba“.
- Lit'erat'uruli p'rotsesi da k'rit'ika. (1980). [Literary Process and Criticism]. Tbilisi: „merani“.
- Mach'avariani, M. (2013). p'oezia, t'. 2. [Poetry, Vol. 2]. Tbilisi: „p'alit'ra L“.
- Mach'avariani, M. (2013). ppoezia, t'. 3. [Poetry, Vol. 3]. Tbilisi: „p'alit'ra L“.
- Mach'avariani, M. (2006). 100 leksi. [100 Poems]. Tbilisi: „int'elekt'i“.
- Nik'oleishvili, A. Kartuli lit'erat'ura. T'. 4. Meotse sauk'une, nats'. me-2. [Georgian Literature, Vol. 4, Twentieth Century. 2nd ed.]. Tbilisi: „sakartvelos matsne“.
- Nik'oleishvili, A. (1982). Kartuli sabch'ota lirik'a (samotsiani ts'lebi). [Georgian Soviet Lyrics (Sixties)]. Tbilisi:
- Nishnianidze, Sh. (2013). P'oezia. [Poetry,]. Tbilisi: „p'alit'ra L“.
- Nishnianidze, Sh. (1990). Tkhzulebani or t'omad, T'. 1. Leksebi. p'oema. [Works in two volumes, vol. 1, poems. Poem]. Tbilisi: „sakartvelo“.
- Nishnianidze, Sh. (1991). Tkhzulebani or t'omad. T'. 2. Leksebi. p'oema. [Works in two volumes, vol. 2, poems. Poem]. Tbilisi: „sakartvelo“.
- Khintibidze, A. (2000). Kartuli leksmtsodneoba. [Georgian Poetics]. Tbilisi: „Tbilisis universit'et'is gamomtsemloba“.
- Khintibidze, A. (2009). kartuli lexis ist'oria da teoria. [History and Theory of Georgian Poetry]. tTilisi: „tbilisis universit'et'is gamomtsemloba“.